1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

585

№ 6 (166) 28 თებერვალი 19 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

72. გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის.
73. გრძელვადიანი საგადასახდელო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის.
74. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
75. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ი. ხვოროსტუხინის გათავისუფლების შესახებ.
76. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კ. ვ. რუსაკოვის დანიშვნის შესახებ.
77. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ანტროპოვის სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
78. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. სიდორენკოს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

79. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კიევის სახალხო მეურნეობის საბჭოს გემთსაშენებელი ქარხნის „ლენინსკაია კუზნიცას“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
80. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შინაგანი სამსახურის უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტის ა. გ. შატოხინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ნ. სტეფანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
82. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ კ. ა. ფედინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატების შესახებ.
84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან გათავისუფლების შესახებ.
86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.
87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.
88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.
89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ჭართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ი. ი. ტუსკიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დ. დ. ქემოკლიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. ჯავახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

72 გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და განის რესპუბლიკის მთავრობა,

ისწრაფვიან რა ორ ქვეყანას შორის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისაკენ და

ხელმძღვანელობენ რა მოლაპარაკებით, რომელიც გადმოცემულია საბჭოთა კავშირ-განის 1961 წლის 24 ივლისის ერთობლივ კომუნიკეში, აღნიშნული მიზნით სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ,

შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობისა და მისი გაადვილების მიზნით შეთანხმების დამდები ორივე მხარე შეუქმნის ერთმანეთს უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმს ყველაფერში, რაც შეეხება ვაჭრობას ორივე ქვეყანას შორის.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის მიერ განის რესპუბლიკის საექსპორტო საქონლის შესყიდვის გადიდების გზით და იმავე დროს განის რესპუბლიკის საიმპორტო მოთხოვნილებათა სულ უფრო მზარდი წილის დაკმაყოფილების გზით მის მიერ საბჭოთა კავშირში საქონლის შესყიდვით.

მუხლი 3

საქონლის ექსპორტი სსრ კავშირიდან განის რესპუბლიკაში და განის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში განხორციელდება 1962 წლის 1 იანვრიდან 1966 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში თანახმად „ა“ და „ბ“ სიებისა, რომლებიც ამ შეთანხმებას თან ერთვის.

შეთანხმების დამდები ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები დაუბრკოლებლივ გასცემენ საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიებს „ა“ და „ბ“

სიებში მოხსენებულ საქონელზე, როცა საქონლის იმპორტის ან ექსპორტისთვის საჭირო იქნება ლიცენზიების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4

შეთანხმების დამდები მხარეები ამ შეთანხმების მოქმედების თითოეული მომდევნო კალენდარული წლის დაწყებამდე ყოველწლიურად ურთიერთშორის მოლაპარაკებით დაადგენენ ნაცვალგებით მისაწოდებელი საქონლის კონტინგენტებს. ამ კონტინგენტებში გათვალისწინებულ იქნება წლიდან წლამდე საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება და ნაცვალგებით მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გაფართოება, როგორც ერთის, ისე მეორე მხარის წლიური მიწოდების საერთო ღირებულების ბალანსის დაცვით.

ზემოაღნიშნული კონტინგენტები, რომელთა საფუძველზე დაიდება საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები, გაითვალისწინებენ: კაკაო-მარცვლის, კაუჩუკის, არაქისის, პალმის ზეთის, პალმისტის, კოპრის, ძვირფასი ჯიშის ხეტყის მასალის, კოლა კაკლისა და სხვა საქონლის ექსპორტს განის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში, სხვადასხვა სახის მანქანებისა და მოწყობილობის, ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ცემენტის, შავი ლითონის ნაგლინის, ფარმაცევტული და ქიმიური საქონლის, სასუქების, ყველა სახეობის თევზის, შაქრის, სამომხმარებლო დანიშნულების სამრეწველო საქონლისა და სხვა საქონლის ექსპორტს სსრ კავშირიდან განის რესპუბლიკაში.

მუხლი 5

3 მუხლის დადგენილებანი არ ეხება საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და განის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს დადონ ურთიერთშორის, გაზიდვის, შემოზიდვისა და სავალუტო კონტროლის შესახებ ორივე ქვეყანაში მოქმედი წესების დაცვით, კომერციული გარიგებანი იმ საქონლის იმპორტზე ან ექსპორტზე, რომელიც შეტანილი არ არის 3 მუხლში აღნიშნულ სიებში.

ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები ნამდვილი თანამშრომლობის სულისკვეთებით განიხილავენ შესაბამის მოთხოვნილებებს ამ მუხლში გათვალისწინებული გარიგებებით საქონლის შემოზიდვისა და გაზიდვის მიმართ.

მუხლი 6

ამ შეთანხმების 3, 4 და 5 მუხლებში აღნიშნული საქონლის იმპორტი და ექსპორტი განხორციელდება იმპორტის, ექსპორტისა და სავალუტო კონტროლის მიმართ სსრ კავშირში და განის რესპუბლიკაში მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად და იმ კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც დაიდება საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა, ერთი მხრივ, და განის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, მეორე მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7

ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და განის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სსრ კავშირიდან განის რესპუბლიკაში და განის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში საქონლის მიწოდებაზე კონტრაქტების დადებას, მათ შორის გრძელვადიანებისას.

მუხლი 8

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ ამ შეთანხმებით მისაწოდებელ საქონელზე ფასები დადგენილ იქნას მსოფლიო ფასების ბაზაზე, ესე იგი შესაბამის საქონელზე ძირითადი ბაზრების ფასების ბაზაზე.

მუხლი 9

ყველა გადასახდელი ამ შეთანხმების საფუძველზე დადებულ გარიგებებზე განხორციელდება საკლირინგო ანგარიშების მიხედვით შეთანხმების დამდებ ორივე მხარეს შორის მოქმედი საგადასახდელო შეთანხმების დადგენილებების შესაბამისად.

მუხლი 10

იმის გამო, რომ სსრ კავშირის კანონებით საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სსრ კავშირში ეკუთვნის სახელმწიფოს, განის რესპუბლიკაში, თანახმად ადრე მიღწეული მოლაპარაკებისა, შეიქმნა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა.

განის რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია ოქმით, რომელსაც შეთანხმების დამდებმა მხარეებმა ხელი მოაწერეს აკრაში 1961 წლის 2 ივლისს.

მუხლი 11

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ხელს შეუწყობს სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას თავიანთი ქვეყნების მეშვეობით, რომელშიც დაინტერესებულია ორივე ქვეყანა, შესაბამისად იმ კანონებისა და წესებისა, რომლებიც არსებობენ თითოეულ ქვეყანაში საქონლის ტრანზიტის მიმართ.

განის რესპუბლიკის მთავრობა ნებას რთავს სსრ კავშირის სავაჭრო ორგანიზაციებს გამოიყენონ განის რესპუბლიკის თავისუფალი ზონები საქონლის საწყობებში მოსათავსებლად, გადასამუშავებლად, გასანაწილებლად და გადასატვირთავად, აგრეთვე სხვა სავაჭრო მიზნებისათვის შესაბამისად განის რესპუბლიკის კანონებისა და წესებისა, რომლებიც აწესრიგებენ ამ ოპერაციებს.

მუხლი 12

ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზნით, შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს მეორე მხარის ტერიტორიაზე შეუძლია მოაწყოს საგაჭრო ბაზრობები და გამოფენები.

მოქმედი კანონების და წესების ფარგლებში შეთანხმების დამდები ორივე მხარე იმპორტისა და ექსპორტის დროს ბაჟისაგან გაათავისუფლებს:

ა) საქონლის ნიმუშებსა და სარეკლამო მასალას, რომლებიც გამოიყენება ვაჭრობისათვის მხოლოდ ხელის შესაწყობად იმ პირობით, რომ მათი ღირებულება უმნიშვნელოა;

ბ) გამოფენებისა და ბაზრობებისათვის განკუთვნილ საგნებსა და საქონელს იმ პირობით, რომ ისინი არ გაიყიდება;

გ) რემონტისათვის, გასაუმჯობესებლად და გადასამუშავებლად შემოზიდულ საქონელს, რომელიც რეექსპორტირებულ უნდა იქნას;

დ) საქონელს, რომელიც დროებით არის შემოზიდული რეექსპორტისათვის.

მუხლი 13

თითოეული მხარის საგაჭრო ხომალდები ამ ხომალდებზე არსებული ტვირთით ისარგებლებენ უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმით ყველაფერში, რაც შეეხება გამოსალებებსა და შეღავათებს ნავსადგურებში შესვლისა და ნავსადგურებიდან გამოსვლის დროს და პირობებს ხომალდის მეორე მხარის ნავსადგურებში ყოფნის დროს.

მუხლი 14

შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის წინადადებით სსრ კავშირის მთავრობა და განის რესპუბლიკის მთავრობა დანიშნავენ თავიანთ რწმუნებულებს, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვში ან აკრაში შესაბამისი წინადადებების თარიღიდან არა უმეტეს 45 დღის ვადაში.

ზემოდასახელებული რწმუნებულები შეამოწმებენ ამ შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას, ხელს შეუწყობენ ორ ქვეყანას შორის დაბალანსებული ვაჭრობის მიღწევას, წინადადებებს მისცემენ ცვლილებების და/ან დამატებათა შეტანის შესახებ სიებში, რომლებიც ამ შეთანხმებას თან ერთვის, და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 15

ამ შეთანხმების მოქმედების პერიოდში დადებული, მაგრამ მისი მოქმედების ვადის გასვლის მომენტისათვის გამოუყენებელი კონტრაქტები შესრულებულ იქნება ამ შეთანხმების დადგენილებების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას. შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერის თარიღიდან მისი დროებით ძალაში შესვლის შესახებ. შეთანხმება საბოლოოდ ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება აკრაში. შეთანხმება იმოქმედებს 1966 წლის 31 დეკემბრამდე. იგი განახლებულ იქნება მხარეთა უსიტყვო თანხმობით მომდევნო ხუთწლიან პერიოდებში, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შესაბამისი ხუთწლიანი პერიოდის ექვსი თვის გასვლამდე გაფრთხილებით.

მუხლი 17

ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან მოქმედებას წყვეტს 1960 წლის 4 აგვისტოს სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის.

დადებულია მოსკოვში 1961 წლის 4 ნოემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით	**განის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით**
ნ. პატოლიჩევი.	**კროგბო ედუსეი.**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 12 იანვარს; განის რესპუბლიკის მთავრობის მიერ — 1961 წლის 18 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა აკრაში 1962 წლის 1 თებერვალს.

ს ი ა „ა“

სსრ კავშირიდან განის რესპუბლიკაში საექსპორტო საქონლისა

მანქანები და მოწყობილობა
მათ შორის:

ლითონსაჭრელი და ხის დასამუშავებელი დაზგები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები (თვითმცლელების ჩათვლით), ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი, საგზაო-სამშენებლო მანქანები, ელექტრო-ძალური და ელექტროტექნიკური მოწყობილობა, სამშენებლო, საბურღი და სამთო-საშახტო მოწყობილობა, სამსხვრევ-საფქვავი მოწყობილობა, ქიმიური მოწყობილობა, ტუმბოები, კომპრესორები და ვენტილატორები, გაზშემდუ-ღებელი მოწყობილობა, მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობის მოწყო-ბილობა, ავტომობილების, ტრაქტორების, საგზაო-სამშენებლო მანქანების, საბურღავი, სამთო-საშახტო, სამშენებლო და სხვა მოწყობილობის სათადარი-გო ნაწილები.

თევზსაჭერი ხომალდები და სანავიგაციო მოწყობილობა
თვითმფრინავები და ვერტფრინავები
გორგოლაჭიანი საკისრები და ბურთულასაკისრები
ლითონსაჭრელი ინსტრუმენტი
მოტოციკლები და ველოსიპედები
კინოაპარატურა, ფოტოაპარატები, ოპტიკური მოწყობილობა და ინსტრუ-მენტები
საათები
რადიომიმღებები და რადიომოწყობილობა
სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა
შავი ლითონის ნაგლინი და შავი ლითონის ნაწარმი
ფერადი ლითონის ნაგლინი
საკაბელო ნაწარმი
ნავთობი და ნავთობპროდუქტები
ცემენტი
აზბესტი
ფანჯრის მინა და კერამიკული ნაწარმი
ქაღალდი, მუყაო და მუყაოს ნაწარმი
ქიმიური სასუქები
ქიმიური საქონელი
რეზინ-ტექნიკური ნაწარმი
ავტომობილების საბურები და კამერები

ბამბეულის ქსოვილები
ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილები
საგალანტერიო საქონელი
საკანცელარიო საქონელი
შაქარი
პურის ფქვილი
ახალი და დამარილებული თევზი
თევზის, ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები
ხიზილალა
შესქელებული რძე
ლიქიორისა და არყის ნაწარმი
სარეცხისა და ხელის საპონი
მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობა
ასანთი
თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი
ლითონის, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი
სპორტული საქონელი
ელექტროსაყოფაცხოვრებო საქონელი
კინოფილმები და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები
სხვა საქონელი

ნ. პ.
(ნ. პატოლიჩევი).

კ. ე.
(კროგოლ ედუსეი).

ეროვნული ბიბლიოთეკა
8784
საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა
256

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა „ბ“

განის რესპუბლიკიდან სსრ კავშირში საექსპორტო საქონლისა

კაკაო — მარცვალი
ყავა
კოპრი და ქოქოსი
ბანანი
ანანასი
ფორთოხალი
პალმის ზეთი
არაქისი
პალმისტა
კაკალი კოლა
ბამბა
კაუჩუკი
ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალა
კინოფილმები და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები
სხვა საქონელი

ნ. პ.
(ნ. პატოლიჩევი).

ა. ე.
(კროგბო ედუსეი).

73 გრძელვადიანი საგადასახდელო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და განის რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

გადასახდელები სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის განხორციელდება სსრ კავშირში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის მეშვეობით და განის რესპუბლიკაში განის ბანკის მეშვეობით.

ამ მიზნით სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი, რომელიც მოქმედებს სსრ კავშირის მთავრობის სახელით, და განის ბანკი, რომელიც მოქმედებს განის მთავრობის სახელით, ერთმანეთს გაუხსნიან უპროცენტო საკლირინგო ანგარიშებს განის გირვანქებში.

ამ ანგარიშებით იწარმოებს, როგორც ეს ამ შეთანხმების 2 მუხლშია გათვალისწინებული, კომერციული და არაკომერციული ხასიათის ყველა გადასახდელი სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის როგორც სსრ კავშირში, ისე განის რესპუბლიკაში უცხოურ ვალუტაზე კონტროლის არსებული კანონებისა და წესის შესაბამისად.

გადასახდელები ფიზიკური ან იურიდიული პირებისა, რომლებიც სსრ კავშირში იმყოფებიან იმ ფიზიკური და იურიდული პირების სასარგებლოდ, რომლებიც განის რესპუბლიკაში იმყოფებიან, ანგარიშსწორების პრაქტიკაში მიღებული ფორმების მიხედვით ან ჩაირიცხება განის ბანკის ანგარიშზე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში, ან გადახდილ იქნება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის ანგარიშიდან განის ბანკში.

გადასახდელები ფიზიკური ან იურიდიული პირებისა, რომლებიც განის რესპუბლიკაში იმყოფებიან, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების სასარგებლოდ, რომლებიც სსრ კავშირში იმყოფებიან, ანგარიშსწორების პრაქტიკაში მიღებული ფორმების მიხედვით ან ჩაირიცხება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის ანგარიშზე განის ბანკში, ან გადახდილ იქნება განის ბანკის ანგარიშიდან სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და განის ბანკი ერთმანეთს არ გადაახდევინებენ ზემოაღნიშნულ ანგარიშების გახსნასა და წარმოებასთან დაკავშირებულ რაიმე გადასახადს ან მოსაკრებელს.

სალდო ზემოაღნიშნულ ანგარიშებზე ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ არ უნდა აღემატებოდეს განის ოთხ მილიონ გირვანქას. თუ ხსენებული სალდო გადაამეტებს ამ თანხას, მხარეთა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან იმისათვის, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციები ასეთი გადამეტების ლიკვიდაციისათვის ზომების მისაღებად.

მუხლი 2

ამ შეთანხმების დადგენილებანი გავრცელდება შემდეგ გადასახდელებზე:

ა) გადასახდელზე საქონლისათვის, რომელსაც მხარეები ერთმანეთს ურიერ გაცვლიან სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში, რომელიც მოქმედებს ორ ქვეყანას შორის;

ბ) ორ ქვეყანას შორის საქონლის გაცვლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯზე, როგორიც არის ტრანსპორტირება, შენახვა, გადაცლის ხარჯები, ბაჟი, პორტის მოსაკრებელი, დაზღვევისა და ხელახლა დაზღვევის პრემიები და გასამრჯელო, საკომისიო, ფასჩაძოკლება, პროცენტები, ხარჯები რეკლამისათვის და ა. შ.;

გ) არაკომერციული ხასიათის გადასახდელებზე, ისეთები როგორიც არის შენახვა დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენლობათა და დელეგაციებისა, რომლებიც ცხოვრობენ ან რომლებიც ეწვევიან მეორე მხარის ტერიტორიას, გადასვლისა და შენახვის სხვა ხარჯები, ჰოხორარი, საავტორო გასამრჯელო, სასამართლო ხარჯები და დანახარჯები, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო ორგანიზაციების პერიოდული გადასახდელები, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის, სპეციალისტებისა და სტუდენტების სწავლებიდან გამომდინარე გადასახდელები;

დ) ყველა სხვა გადასახდელზე, რომელიც შეთანხმებულ იქნება სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკსა და განის ბანკს შორის.

მუხლი 3

მიუხედავად ამ შეთანხმების 2 მუხლის დადგენილებებისა, ორივე მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ნება დართონ გადასახდელების კონვერსირებული ვალუტით წარმოებაზე.

მუხლი 4

კონტრაქტები, რომელთა გადასახდელები უნდა განხორციელდეს ამ შეთანხმების შესაბამისად, დაიდება, როგორც წესი, განის გირვანქებში. თუ ისინი დადებულ იქნება რომელიმე სხვა ვალუტაზე, მაშინ ეს ვალუტა გადაანგარიშებულ უნდა იქნას განის გირვანქებში შესაბამისი ვალუტების ოქროს შემცველობის მიხედვით.

მუხლი 5

განის გირვანქის ოქროს შემცველობის რაიმე ცვლილების შემთხვევაში (ახლა განის ერთი გირვანქა უტოლდება 2,48828 გრამ სუფთა ოქროს), სალდო 1 მუხლში ხსენებულ ანგარიშებზე გადაანგარიშებულ იქნება ოქროს შემცველობის მომხდარ ცვლილების დღეს ამ ცვლილების შესაბამისი პროპორციით.

სალდოს ლიმიტი 1 მუხლში ხსენებულ საკლირინგო ანგარიშებზე აგრეთვე გადაანგარიშებულ იქნება ამ ცვლილების შესაბამისად. შეუსრულებელი კონტრაქტების, ანგარიშების, საგადასახდელო დოკუმენტების, გადასახდელების

შესახებ ბრძანებების თანხები და თანხები ყველა სხვა გარიგებაზე, რომელიც ექვემდებარება ამ შეთანხმების მოქმედებას გადაანგარიშებულ იქნება ასევე ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6

1 მუხლში ხსენებულ ანგარიშებზე დაუფარავი ყოველი სალდო ამ შეთანხმების მოქმედების გასვლის შემდეგ უნდა გადაიხადოს მხარე-დებიტორმა 12 თვის განმავლობაში შეთანხმების დამდებ მხარეებს შორის შეთანხმებული საქონლის მიწოდების გზით.

ამ შეთანხმების მოქმედების გასვლის დღიდან 12 თვის განმავლობაში მისი დადგენილებანი გავრცელდება ყველა გარიგებაზე, რომელიც დადებულია მისი მოქმედების პერიოდში, აგრეთვე გარიგებებზე, რომლებიც დადებულია ამ მუხლის წინა პარაგრაფის საფუძველზე.

ყველა მოუწესრიგებელი ანგარიში ხსენებული 12 თვის პერიოდის გასვლის შემდეგ მოწესრიგებულ იქნება იმ წესით, რომელსაც ერთმანეთს შეუთანხმებენ შეთანხმების დამდები მხარეები.

მუხლი 7

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და განის ბანკი ამ შეთანხმების მიხედვით დააწესებენ ანგარიშსწორებისა და ანგარიშების წარმოების ტექნიკურ წესს.

მუხლი 8

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას. შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერის თარიღიდან მისი დროებით ძალაში შესვლის შესახებ. შეთანხმება საბოლოოდ ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება აკრაში. შეთანხმება იმოქმედებს 1966 წლის 31 დეკემბრამდე. იგი განახლებულ იქნება მხარეთა უსიტყვო თანხმობით მომდევნო ხუთწლიან პერიოდებში, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შესაბამისი ხუთწლიანი პერიოდის ექვსი თვის გასვლამდე გაფრთხილებით.

დადებულია მოსკოვში 1961 წლის 4 ნოემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით ნ. პატოლიჩევი.	განის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით კროგბო ედუსეი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 12 იანვარს; განის რესპუბლიკის მთავრობის მიერ — 1961 წლის 18 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა აკრაში 1962 წლის 1 თებერვალს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

მექრთამეობა წარსულის ერთ-ერთი სამარცხვინო და საზიზღარი გადმონაშთია, რომელიც კაპიტალიზმმა მემკვიდრეობით დაუტოვა ჩვენს საზოგადოებას. ეს მახინჯი მოვლენა უცხო და სავსებით შეუწყნარებელია საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომელიც შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პირობებში არის ყველა შესაძლებლობა მთლიანად აღმოიფხვრას მექრთამეობის ყოველგვარი ფორმა.

მექრთამეობისათვის, როგორც განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის საშუალებით ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ისეთი ქმედობის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობანი, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს, ან ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის ან ქრთამის აღება არაერთჯერ, ან ჩადენილი ქრთამის გამოძალვით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

2. მექრთამეობაში შუამავლობა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე.

მექრთამეობაში შუამავლობა ჩადენილი არაერთჯერ ან პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ქრთამის მიცემა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

ქრთამის მიცემა არაერთჯერ ან პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან ასეთის გარეშე და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან თუ ამ პირმა ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა მომხდარის შესახებ.

4. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში შეიტანონ ცვლილებები და დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ი. ხვოროსტუხინის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსი ივანეს ძე **ხვოროსტუხინი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კ. ვ. რუსაკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კონსტანტინე ვიქტორის ძე **რუსაკოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 თებერვალი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 ამხ. პ. ი. ანტროპოვის სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. პეტრე იაკობის ძე **ანტროპოვი** სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 თებერვალი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 ამხ. ა. ს. სიდორენკოს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **სიდორენკო** სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 თებერვალი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 კიევის სახალხო მეურნეობის საბჭოს გემთსამშენებლო ქარხნის „ლენინსკაია კუზნიცას“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიღწეული საწარმოო წარმატებებისათვის და დაარსებიდან 100 წლისთავის გამო კიევის სახალხო მეურნეობის საბჭოს **გემთსამშენებლო ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცა“** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 8 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 შინაგანი სამსახურის უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტის ა. გ. შატოხინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის შინაგანი სამსახურის უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ალექსანდრე დენისის ძე **შატოხინი** დაჯილდოებულ იქნას **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 17 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 მწერალ ა. ნ. სტეფანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **სტეფანოვი** დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 მწერალ კ. ა. ფედინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მწერალი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ფედინი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 თებერვალი.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ფრიადი მაჩვენებლებისათვის და ახალი რთული საბრძოლო ტექნიკის კარგად ათვისებისათვის სსრ კავშირის უმა-

ღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 23 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 322 კაცი და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 99 კაცი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102[1] მუხლის დამატების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავს „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“ დაემატოს მუხლი 102[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 102[1]. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა, რასაც მოჰყვა მათი გაფუჭება ან დამტვრევა, აგრეთვე ამ მანქანების კომპლექტის დაშლა,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი არაერთგზის ან თუ მას მოჰყვა დიდი ზარალი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 თებერვალი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

04 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1962 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც დაკარგეს ძალა

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 20 იანვრის დადგენილება № 4 „გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1925 წ., № 1, მუხ. 4).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 15 აპრილის დადგენილება № 18 „მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1925 წ., №2, მუხ. 30).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 1 ივნისის დადგენილება № 29 „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „გლეხის ცენტრალური სახლის“ მიერ გლეხთა საქმეების გამო აღძრულ შუამდგომლობათა პირველ რიგში განხილვის შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1925 წ., № 2, მუხ. 41).

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 8 აგვისტოს დადგენილება № 39 „ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთათვის ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მისაცემი შეღავათების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1925 წ., № 3, მუხ. 62).

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება № 68 „ადგილობრივ ტყავის ქარხნების იჯარით უპირატესად სამრეწველო კოოპერატივებისათვის გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1926 წ., № 5, მუხ. 112).

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის 4 ივლისის დადგენილება № 63 „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1927 წ., № 7, მუხ. 101).

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლის 30 ივლისის დადგენილება „სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმისათვის ხელისშემწყობი კომისიების მოწყობის შესახებ საქალაქო და სა-

თემო საბჭოებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1929 წ., № 17, მუხ. 192).

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება „სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა აღმშენებლობის სახლის დაარსებისა და ამ სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1931 წ., № 24, მუხ. 262).

9. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ივლისის დადგენილება „იმ არტელების წევრთა შეღავათების შესახებ, რომელთაც ღარიბ ებრაელთა სრულიად საქართველოს კომიტეტი აერთიანებს“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1932 წ., № 20, მუხ. 178).

10. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ივლისის დადგენილება „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1932 წ., № 20, მუხ. 180).

11. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 22 აგვისტოს დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკებისა და ა/კ სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ პირთა უფლებების შესახებ, როდესაც ისინი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს სსრ-ში გადმოდიან“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1932 წ., № 21, მუხ. 189).

12. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის 19 იანვრის დადგენილება „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურისა და შტატების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1934 წ., № 2, მუხ. 48).

13. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 4 მარტის დადგენილება „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ეროვნებათა განყოფილების დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 10, მუხ. 50).

14. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დოკუმენტების გამოყენების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 18, მუხ. 109).

15. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 ივნისის დადგენილება — „პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ — და-

ნართით. (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 19, მუხ. 116).

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 2 აგვისტოს დადგენილება „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ — დანართით. (საქ. სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 27, მუხ. 160).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. სიმონ სევერიანის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. სიმონ სევერიანის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. შ. მიქელაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გივი შალვას ძე **მიქელაძე** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბეჟან ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 ამხ. ბ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გაბრიელ მიხეილის ძე **ქართველიშვილი** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 27 თებერვალი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 კომპოზიტორ ი. ი. ტუსკიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარების საქმეში დამსახურებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის კომპოზიტორ იონა ირაკლის ძე **ტუსკიას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ** სახალხო **არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 10 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

91 დ. დ. ქემოკლიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისთვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით თერჯოლის რაიონის ეწერის შვიდწლიანი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე დემური დავითის ძე **ქემოკლიძე** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 ამხ. ნ. ს. ჯავახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ნიკოლოზ სტეფანეს ძე **ჯავახიძე** დაჯილდოებულ იქნას **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 თებერვალი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 1525 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან 236
ქ. გორიდან 2

ქ. რუსთავიდან	. . . . .	13.
ქ. ქუთაისიდან	. . . . .	7
ახალქალაქის	რაიონიდან	228
ახმეტის	„	16
გორის	„	24
გურჯაანის	„	7
გეგეჭკორის	„	34
დმანისის	„	62
დუშეთის	„	11
ზესტაფონის	„	32
ზუგდიდის	„	31
თეთრიწყაროს	„	33
თიანეთის	„	27
თელავის	„	32
კასპის	„	33
ლაგოდეხის	„	71
ლანჩხუთის	„	14
ლენტეხის	„	35
მარნეულის	„	132
მახარაძის	„	22
მცხეთის	„	22
ორჯონიკიძის	„	40
სამტრედიის	„	28
სიღნაღის	„	14
ტყიბულის	„	3
ყვარლის	„	26
ჩოხატაურის	„	18
ცაგერის	„	11
ცხაკაიას	„	25
წალკის	„	73
წითელწყაროს	„	13
წულუკიძის	„	32
ხობის	„	9
სამხრეთ ოსეთის ა/ო	. . . . .	103

ეროვნული ბიბლიოთეკა